ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის სხდომაზე

განხილულ საკითხთა ნუსხა

1.,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N07 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2.,,ქობულეთის მუნიციპალური „გენდერული თანასწორობის საბჭო“-ს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის N01 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 20 ივნისის N114-1142217186 მომართვა- ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქ.N215 ა სახლის მიმდებარედ სკვერზე, სახელის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 08 ივლისის N114-1142218936 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხანჯურში მდებარე ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 817.0 კვ.მ კვ.მ.არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ 230.0 კვ.მ შენობა-ნაგებობაზე (ს/კ N20.37.05.032) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ;

5.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 08 ივლისის N114-1142218946 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N116 ა-ს მიმდებარედ 538.0 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.42.05.182) 6,12 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ ეთერ გოგიტიძე);

6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 08 ივლისის N114-1142218944 მომართვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 559,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.33.01.084) 15,0 კვ.მ მიწის ნაკვეთი სავაჭრო ობიექტის ფუნქციონირების მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ გუგული ტაკიძე);

7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 12 ივლისის N114-11422193148 მომართვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებული 48.0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (ს/კ N20.33.01.084) აფთიაქის ფუნქციონირების მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ მეგი გოგიტიძე);

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N8

ქ.ქობულეთი 29 ივლისი 2022 წელი

სხდომა დაიწყო: 12-00 საათზე

დამთავრდა: 14-00 საათზე

სხდომას უძღვებოდა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ: გურამ აბაშიძე, დავით წულუკიძე, თედო ტაკიძე, ლაშა ხახუტაიშვილი, ლია შაქარიშვილი, თეა მოწყობილი, ავთანდილ გოგიბერიძე, ედნარ თურმანიძე, დავით პაპუნაიშვილი, იოსებ ჟღენტი, ირაკლი ქათამაძე, ზურაბ ხინიკაძე, ნატო შამილიშვილი, ალექსანდრე ხიდაშელი, ზაზა თხილაიშვილი, გიზო ხალვაში, ჯეირან წულუკიძე, იამზე ცალქალამანიძე, სოსო ქიზინიძე, გიორგი კარალიძე, ირაკლი ტაკიძე, ედუარდ ქავჯარაძე, ილონა ანანიძე, ლაშა კომახიძე, ლევან მახარაძე, შოთა გოგიტიძე, ჯემალ ბლადაძე, მამია ჟორდანია,სოლომონ ბაჯელიძე, დავით ოქროპირიძე.

სხდომას არ ესწრებოდა: ნათია თხილაიშვილი, გიორგი გოგიტიძე, გელა შაქარიშვილი, ეკატერინე კოჭლამაზაშვილი, მირზა მახარაძე, არჩილ ჯაფარიძე, მერაბ ცინცაბაძე, ია მესხიძე;

ესწრებოდნენ: აჭარის - TV საზოგადოებრივი მაუწყებელი;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის II რანგის უფროსი საორგანიზაციო და საქმისწარმოების საკითხებში - დავით ჯინჭარაძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის სხდომის ოქმის შედგენა დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს საქმისწარმოების საკითხებში მანონი ვერულიძეს.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრა 28 ივლისს ჩატარებულ სახალხო ფესტივალ ,,მზე სოფელშიც ანათებს“ რომელიც სოფელ კვირიკეში გაიმართა, მისი თქმით აღმასრულებელი ორგანოს მიერ ორგანიზებული ზეიმი იყო ძალიან კარგი, - ,,ესეთი ღონისძიება არის მაგალითი მუნიციპალიტეტის, როგორც თვითმმართველი ქალაქის და მოსახლეობის ერთობის. მსგავსი ღონისძიებები კიდევ უფო გაალამაზებს ჩვენს ქალაქს და ხელს შეუწყობს ტურიზმის ეკონომიკურ განვითარებას და თითოეული ადამიანის კეთილდღეობას. ფესტივალის მიზანი კი ქობულეთის სოფლების პოპულარიზაცია და ტურისტული პოტენციალის ჩვენება იყო. რაც მისასალმებელია.“ შემდეგ გააცნო დეპუტატებს წარმოდგენილი დღის წესრიგი და დასვა შეკითხვა აქვთ, თუ არა შენიშვნები ან წინადადებები წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ -ს წევრმა სოლომონ ბაჯელიძემ ითხოვა სიტყვით გამოსვლა. მან შეახსენა საკრებულოს თავჯდომარეს 3 ივლისის ტელევიზიისათვის გაკეთებული კომენტარი, მისი თქმით ფაქტის უარყოფას აზრი არ აქვს რადგან ტელევიზიას აქვს შესაბამისი ჩანაწერი. რის შემდეგაც ოპოზიციის მხრიდან გაკეთებული იყო აქცია საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენებასთან დაკავშირებით. რაზეც მიუხედავად მოთხოვნისა საკრებულოს თავმჯდომარეს საპასუხო კომენტარი მედიისთვის არ გაუკეთებია. მისი თქმით საკრებულოს თავმჯდომარე ღიად ეწინააღმდეგება ქვეყნის ევროპულ მომავალს.

აღიშნულ საკითხს პოლემიკა მოჰყვა, ქართული ოცნების დეპუტატებმა ოპოზიციის წევრები სიცრუეში დაადანაშაულა.

ლია შაქარიშვილი - აღნიშნული ფაქტის საკრებულოს სხდომაზე აფიშირება არ უნდა მომხდარიყო, რადგან ჟურნალისტი, რომელიც ამ ფორმით ცდილობს მოიპოვოს ინფორმაცია ეს არის დანაშაული. ყოველგვარ ეთიკურ, მორალურ და პროფესიურ ნორმას სცდება. მისი თქმით აღნიშნული ბრალდება მუნიციპალიტეტში არ მომხდარა, ქართულ ოცნებას არ ქონია მსგავსი მიდგომა პოლიტიკაში.

საკრებულოს თავმჯდომარემ ნაციონალური მოძრაობის ბრალდებას კი სიცრუე და უსაფუძვლო უწოდა. მისი თქმით ეს არის ჯგუფის მიერ ორგანიზებული დადგმა და ის ჩანაწერი, რომელიც მედია საშუალებით გავრცელდა იყო მონტაჟი რომელიც მიზანი იყო ნაციონალური მოძრაობის მიერ მოსახლეობის სიცრუეში შეყვანა. მსგავსი ფაქტები არ არსებობს და არც იარსებებს ხოლო თუკი დადასტურდება მზად ვარ ვაგო პასუხიც განაცხადა დ.მჭედლიშვილმა.

დებატების დასრულების შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი :

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1.,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N07 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი: დავით წულუკიძე)

2.,,ქობულეთის მუნიციპალური „გენდერული თანასწორობის საბჭო“-ს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის N01 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

(მომხსენებელი: ლია შაქარიშვილი)

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 20 ივნისის N114-1142217186 მომართვა- ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქ.N215 ა სახლის მიმდებარედ სკვერზე, სახელის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ;

(მომხსენებელი: ლია შაქარიშვილი)

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 08 ივლისის N114-1142218936 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხანჯურში მდებარე ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 817.0 კვ.მ კვ.მ.არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ 230.0 კვ.მ შენობა-ნაგებობაზე (ს/კ N20.37.05.032) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ;

(მომხსენებელი: ლაშა ხახუტაიშვილი)

5.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 08 ივლისის N114-1142218946 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N116 ა-ს მიმდებარედ 538.0 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.42.05.182) 6,12 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ ეთერ გოგიტიძე);

(მომხსენებელი: ლაშა ხახუტაიშვილი)

6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 08 ივლისის N114-1142218944 მომართვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 559,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.33.01.084) 15,0 კვ.მ მიწის ნაკვეთი სავაჭრო ობიექტის ფუნქციონირების მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ გუგული ტაკიძე);

(მომხსენებელი: ლაშა ხახუტაიშვილი)

7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 12 ივლისის N114-11422193148 მომართვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებული 48.0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (ს/კ N20.33.01.084) აფთიაქის ფუნქციონირების მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ მეგი გოგიტიძე);

(მომხსენებელი: ლაშა ხახუტაიშვილი)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 31

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31 წევრი.

1.,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N07 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - მოხსენება გააკეთა საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დავით წულუკიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ იმსჯელა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2022 წლის 12 ივლისის NGOV 5 22 00022399 მომართვაზე - „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივნისის №15 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის განხორციელებისა და გამოვლენილი ხარვეზის შესახებ“.

გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით კომისიამ გაითვალისწინა ყველა ის შენიშვნა და ხარვეზი რომლის გამოსწორებაც იყო დავალებული საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მიერ, კერძოდ: ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ (სსმ 31.03.2022 წ. სარეგისტრაციო კოდი 010250040.35.131.016328) ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30მარტის N07 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1.მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. ახლადარჩეული საკრებულოს და მისი წევრების უფლებამოსილება იწყება შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების იმ შემაჯამებელი ოქმის/ოქმების ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მე-14 დღიდან, რომლითაც/რომლებითაც დასტურდება ამ საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის არჩევა. ამ მომენტიდან უფლებამოსილება უწყდება შესაბამის მოქმედ საკრებულოს.“

2.მე-13 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1.საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობა ხდება არჩევნების საბოლოო შედეგების იმ შემაჯამებელი ოქმის/ოქმების ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან მე-14 დღიდან.“

3.მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ამოღებულ იქნას:

4.მე-12 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,9. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკრებულოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.“

5. მე-17 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს ,,უ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,უ) გადაწყვეტილებას იღებს, საკრებულოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეების, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოსამსახურეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის შვებულების და ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ მივლინების თაობაზე.“

6.93-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 93. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხის განხილვა.“

7. 93-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საკითხი გადაეცემა საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიას.“

8.93-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. გადაწყვეტილება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ მიიღება ცნობის სახით კენჭისყრის გარეშე, გარდა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი

თვითმმართველობის კოდექსი“-ს 43-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით დადგენილი შემთხვევისა. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით.“

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა .,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N07 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 31

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31 წევრი.

მიღებულია დადგენილება N20

(განკარგულება თან ერთვის)

2.,,ქობულეთის მუნიციპალური „გენდერული თანასწორობის საბჭო“-ს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის N01 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ - მოხსენება გააკეთა საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლია შაქარიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ 2022 წლის 6 ივლისს ქობულეთის მუნიციპალურმა გენდერულმა საბჭომ განიხილა საკრებულოს 2022 წლის 31 იანვარს N01 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის საკითხი. საქმე ეხება საბჭოს შემადგენლობაში წევრთა დამატებას. საბჭოს წევრობის სურვილი გამოთქვეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ ბლადაძემ და საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თეა მოწყობილმა.

ასევე გენედრულ თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა იამზე ცალქლამანიძე და ირაკლი ქათმაძემ.

ლია შაქარიშვილი - მორიგ სხდომაზე მოხდება აღნიშნული საკითხის განხილვა. სურვილი შეზღუდული არ არის, პირიქით მისასალმებელია.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე „გენდერული თანასწორობის საბჭო“-ს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის N01 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

მომხრე - 31

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31 წევრი.

მიღებულია განკარგულება N43

(განკარგულება თან ერთვის)

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 20 ივნისის N114-1142217186 მომართვა- ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქ.N215 ა სახლის მიმდებარედ სკვერზე, სახელის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ - მოხსენება გააკეთა საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და

ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლია შაქარიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ იმსჯელა 2022 წლის 17 მაისს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში ქ. ქობულეთის, შოთა რუსთაველის ქ. N 215 ა სახლის მცხოვრებთა ამხნაგობის კოლექტიური განცხადება, რომლის თანახმადაც აქ მცხოვრენი ითხოვენ კორპუსის მიმდებარე სკვერს ეწოდოს ამ სახლის აშენების ინიციატორის და დ/ს „ივერიის' ყოფილი დირექტორის ზაურ ღლონტის სახელი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N 239 დადგენილების მე-5 მუხლის, პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე პირთან დაკავშირებული სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ. ასევე საკრებულოს აქვს დისკრეცია ისჯელოს გამონაკლისის დაშვების მიზაშეწონილობაზე, თუმცა იმდენად რამდენადაც, ზაურ ღლონტის გარდაცვალებიდან მცირე დროა გასული, კომისიამ დაასკვნა, რომ ამ ეტაპზე სკვერზე ბატონ ზაურ ღლონტის სახელის წოდება ნაადრევია.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქ.N215ა სახლის მიმდებარედ სკვერზე, სახელის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 31

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31 წევრი.

4. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 08 ივლისის N114-1142218936 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხანჯურში მდებარე ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 817.0 კვ.მ კვ.მ.არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და მასზე განთავსებულ 230.0 კვ.მ შენობა-ნაგებობაზე (ს/კ N20.37.05.032) ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცითი-ტერიტორიული მოწყობის, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მერიას წერილობით მიმართა ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის მეუფე დიმიტრიმ რომლითაც ითხოვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხანჯურში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 817,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 230,0 კვ.მ შენობა-ნაგებობის (ს/კ N20.37.05.032) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიისთვის გადაცემა, შემდგომში მართლმადიდებლური ტაძრის მშენებლობის მიზნით. აღნიშნული საკითხი განხილული იქნა კომისიის სხდომაზე და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია მიეცეს მერს თანხმობა ზემოხსენებული უძრავი ქონების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიისთვის უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით მართლმადიდებლური ტაძრის მშენებლობის მიზნით.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა -ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხანჯურში მდებარე

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 817.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 31

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31 წევრი.

მიღებულია განკარგულება N44

(განკარგულება თან ერთვის)

5.ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 08 ივლისის N114-1142218946 მომართვა - ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N116 ა-ს მიმდებარედ 538.0 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.42.05.182) 6,12 კვ.მ მიწის ნაკვეთზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ ეთერ გოგიტიძე) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცითი-ტერიტორიული მოწყობის, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც განმარტა,მუნციპალიტეტის მერს განცხადებით მიმართა ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N116ა-ში მცხოვრებმა მოქალაქე ეთერ გოგიტიძემ, რომლითაც ითხოვა ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N116ა-ს მიმდებარედ 6,12 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემა მეტალო-პლასტმასის სავაჭრო ჯიხურის განთავსების მიზნით.

აღნიშნული განცხადება განხილული იქნა კომისიის სხდომაზე და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ეთერ გოგიტიძის თხოვნის დაკმაყოფილება და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N116ა-ს მიმდებარედ 538,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.42.05.182) 6,12 კვ.მ მიწის ნაკვეთის 1 (ერთი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემა, ასაწყობი კონსტრუქციის მეტალოპლასტმასის ჯიხურის განთავსების მიზნით. ხოლო უძრავი ქონების წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 350 (სამას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა -ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ქობულეთში, რუსთაველის ქუჩა N116 ა-ს მიმდებარედ 6,12 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 31

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31 წევრი.

მიღებულია განკარგულება N45

(განკარგულება თან ერთვის)

6. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 08 ივლისის N114-1142218944 მომართვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე 559,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.33.01.084) 15,0 კვ.მ მიწის ნაკვეთი სავაჭრო ობიექტის ფუნქციონირების მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ გუგული ტაკიძე) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცითი-ტერიტორიული მოწყობის, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მიმართა სოფელ მუხაესტატეში მცხოვრებმა მოქალაქე გუგული ტაკიძემ, რომლითაც ითხოვა სოფელ მუხაესტატეში სარგებლობაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (15,0 კვ.მ) საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელება 5 (ხუთი) წლის ვადით, სავაჭრო ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. აღნიშნული საკითხი განხილული იქნა კომისიის სხდომაზე და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია გუგული ტაკიძის თხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილება და ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ მუხაესტატეში მდებარე 559,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 20.33.01.084) 15,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის 1 (ერთი) წლის ვადით (ნაცვლად მოთხოვნილი 5 წლისა) სარგებლობაში გადაცემა, სავაჭრო ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია უძრავი ქონების წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით სოფელ მუხაესტატეში მდებარე 15,0 კვ.მ მიწის ნაკვეთი, სავაჭრო ობიექტის ფუნქციონირების მიზნით მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 31

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31 წევრი.

მიღებულია განკარგულება N46

(განკარგულება თან ერთვის)

7. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 12 ივლისის N114-11422193148 მომართვა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებული 48.0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (ს/კ N20.33.01.084) აფთიაქის ფუნქციონირების მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ (ფ/პ მეგი გოგიტიძე) - მოხსენება გააკეთა საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცითი-ტერიტორიული მოწყობის, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე ლაშა ხახუტაიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა სოფელ მუხაესტატეში მცხოვრებმა მოქალაქე მეგი გოგიტიძემ, რომლითაც ითხოვა სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებული 48,0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემა აფთიაქის ფუნქციონირების მიზნით. აღნიშნული განცხადება განხილული იქნა ქობულეთის მუნიციპალიტეტის კომისიის სხდომაზე და კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ფ/პ მეგი გოგიტიძეს პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით გადაეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებული 48,0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (ს/კN20.33.01.084), აფთიაქის ფუნქციონირების მიზნით. აქედან გამომდინარე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცეს თანხმობა ზემოხსენებული უძრავი ქონების წლიური საიჯარო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 1100 (ათას ასი) ლარის ოდენობით.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა მუნიციპალიტეტის მერისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით 1 (ერთი) წლის ვადით სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობის პირველ სართულზე არსებული 48.0 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის, მერზე თანხმობის მიცემისა და საწყისი წლიური საიჯარო საფასურის განსაზღვრის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 31

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31 წევრი.

მიღებულია განკარგულება N47

(განკარგულება თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დამთავრებულად.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი